კულტურა არა-ადამიან ცხოველებში: მენტალური რეპრეზენტაციის თეორიები როგორც საუკეთესო ახსნითი ჩარჩო

ერეკლე ჩერქეზიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის სამაგისტრო აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

ხელმძღვანელი: თამაზ თოხაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ერეკლე ჩერქეზიშვილი, 2025 წელი

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში დაცულია მტკიცება, რომ არა-ადამიან ცხოველებში გარკვეული დასწავლილი ქცევების კატეგორიზება შეიძლება, როგორც კულტურული ქცევები, რომლებიც ასოციაციური დასწავლის მოდელების მიღმა საჭიროებს ახსნას. გრანტ რემსის კულტურის ინკლუზიური განმარტების საფუძველზე, გაანალიზებულია შიმპანზეების ხელსაწყოების გამოყენება, დელფინების "სპანჯინგი" და სურიკატების სწავლების ქცევა, ანუ ქცევები, რომლებიც ხასიათდება მოქნილობით, მიზანზე მიმართულობით, ინფორმაციის სოციალური გადაცემითა და სტაბილურობით. მოცემული პატერნების ასახსნელად შემოთავაზებულია ინტერპრეტაციული ჩარჩო, რომელიც დაფუძნებულია ინტენციონალობაზე, მენტალურ შინაარსსა და რეპრეზენტაციულ ფორმატზე. მოცემული მიდგომა გამართლებულია მენტალური რეპრეზენტაციების თეორიული ჭრილიდან, განსაკუთრებით დრეცკეს, ბერმუდესის და ტაის პოზიციების ინტეგრირებით, რომელიც საფუძველს იძლევა ცხოველებისთვის სტრუქტურირებული, არაკონცეპტუალური ან პროტო-კონცეპტუალური ფსიქიკური მდგომარეობების მიკუთვნებისთვის ანთროპომორფიზმის გარეშე. საბოლოო დასკვნაა, რომ მენტალური რეპრეზენტაციის თეორიული ჩარჩო გვთავაზობს ცხოველთა კულტურის საუკეთესო, ფილოსოფიურად თანმიმდევრულ ახსნას.

Abstract

This dissertation argues that certain learned behaviors in non-human animals can be categorized as cultural behaviors that require explanations beyond models of associative learning. Based on Grant Ramsey's inclusive definition of culture, we analyze chimpanzee tool use, dolphin "sponging" and meerkat learning behavior, i.e., behaviors that are characterized by flexibility, goal-directedness, social transmission of information, and stability. An interpretive framework based on intentionality, mental content, and representational format is proposed to explain these patterns. This approach is justified from the perspective of mental representation theory, particularly by integrating the positions of Dretske, Bermudez, and Tai, which provide a basis for attributing structured, non-conceptual, or proto-conceptual mental states to animals without anthropomorphism. The conclusion is that a theoretical framework of mental representation offers the best, philosophically coherent explanation of animal culture.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორ თამაზ თოხაძეს, მოცემული დისერტაციის წერისას გაწეული დახმარებისთვის.